მობილობა სტეპ სკოლაში

მობილობის პროცესი მიმდინარეობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის №193/ნ ბრძანების საფუძველზე.

სკოლაში საბაზო და საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასებში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით, სკოლაში არსებული თავისუფალი ადგილის შესაბამისად, მოსწავლეთა ჩარიცხვაზე გადაწყვეტილებას იღებს ორგანიზაციის დირექტორი.

მობილობა დაუშვებელია:

- კალენდარული წლის პირველი სექტემბრიდან პირველ ოქტომბრამდე;
- სასწავლო წლის დასრულებამდე 30 კალენდარული დღის განმავლობაში;
- მე-12 კლასელებისათვის მე-12 კლასის მე-2 სემესტრის მიმდინარეობისას.

<u>მე-8 და ზემდგომ კლასებში ჩარიცხვის პროცესი მოიცავს სამ ეტაპს:</u>

I ეტაპი - ტესტირება

სკოლაში გაძლიერებულად ისწავლება ქიმია და ბიოლოგია. შესაბამისად, <u>მე-8 და ზემდგომ კლასებში,</u> სტეპ სკოლაში სწავლის გაგრძელების მსურველებმა უნდა ჩააბარონ ინტეგრირებული ტესტი, რაც ამოწმებს ქიმიასა და ბიოლოგიაში მოსწავლის მზაობას და ცალკეული კლასის/კლასების სასკოლო სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონესთან მოსწავლის ცოდნისა და უნარების თავსებადობას. ტესტში მიღებული ქულა განსაზღვრავს, თუ რომელი მოსწავლეები ჩაირიცხებიან სკოლაში.

მობილობის მსურველი მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენლი სტეპ სკოლაში წარადგენს <u>წერილობით მიმართვას,</u> რომლის საფუძველზეც სკოლა გეგმავს მოსწავლის ტესტირებას.

II ეტაპი - მობილობის პროცესი

ინტეგრირებული ტესტის წარმატებით დაძლევის შემთხვევაში, მობილობის მსურველი მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენლი სტეპ სკოლაში წარმოადგენს ხელმოწერილ <u>განცხადებას</u>, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს:

- განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- მოსწავლის დაბადების მოწმობის ასლი;

- განცხადების განხილვის ეტაპისათვის, სწავლის წლიური საფასურის ნაწილის - 200 ევროს ეკვივალენტი ლარში, გადახდის დამადასტურებელი საბუთი.

  * მობილობის გზით მოსწავლის ვერ/არ ჩარიცხვის შემთხვევაში (მიზეზის მიუხედავად), გადახდილი თანხა უკან არ ბრუნდება.

<u>დამატებით:</u>

- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ჩარიცხვისთვის მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა
- უცხოენოვანი დოკუმენტების შემთხვევაში - დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი
- მშობლის გარდა სხვა კანონიერი წარმომადგენლის განცხადების შემთხვევაში - კანონიერი წარმომადგენლობის უფლების მქონე დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი

III ეტაპი - ჩარიცხვა

მობილობის ელექტრონული მოთხოვნის დადასტურების შემთხვევაში, სტეპ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანების გამოცემასა და შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებას.

მე-7 კლასში მოსწავლის ჩარიცხვის სურვილის შემთხვევაში, მობილობის პროცესი არ მოიცავს ტესტირების ეტაპს. შესაბამისად, პროცესი იწყება მობილობის მსურველი მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ სტეპ სკოლაში ხელმოწერილი <u>განცხადების</u> წარდგენით (სრული ინფორმაცია მობილობისა და ჩარიცხვის ეტაპების შესახებ, იხ. ზემოთ).

<u>*დამატებითი ინფორმაცია:</u>

მობილობის პროცესის დასრულების შემდგომ, სტეპ სკოლაში ჩარიცხული მოსწავლეებისთვის, სკოლაში იგეგმება უცხოური ენის ცოდნის დონის განსასაზღვრი ტესტირება, რაც ემსახურება მოსწავლის შესაბამის ჯგუფში ჩართვას.

მე-7 კლასში ჩარიცხული მოსწავლეები დამატებით ჩააბარებენ სკოლის მიერ შედგენილ სადიაგნოსტიკო ტესტს მოსწავლის ცოდნისა და უნარების ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონესთან თავსებადობისა და ცალკეულ საგანში/საგნებში მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საჭიროების განსაზღვრის მიზნით.